ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და მეორე მხრივ, შპს „ბ&ნ“-ს შორის 2016 წლის 20 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, კერძოდ არსებული საპრივატიზებო პირობები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3.1.1. ხელშეკრულების დადებიდან, 2022 წლის 1 ივლისამდე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს, „საწარმოს“ საკუთრებაში არსებულ №37.10.33.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (შემდგომში „ქონება“) არანაკლებ 454 საწოლზე გათვლილი სამედიცინო დაწესებულებ(ებ)ის შექმნის მიზნით, სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება (რაც შეიძლება მოიცავდეს „ქონების“ ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს), კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესით, ექსპლუატაციაში მიღება და საწოლების ზემოხსენებული რაოდენობის შესაბამისად, ფუნქციონირების დაწყება.

3.1.2 ხელშეკრულების დადებიდან, 2019 წლის 31 დეკემბრამდე, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს, №37.10.33.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ №08/2, №04/2 შენობებზე სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

3.1.3 ხელშეკრულების დადებიდან, 2022 წლის 1 ივლისამდე, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით ქუთაისში 2 (ორი), ფოთში 1 (ერთი), სენაკში 1 (ერთი), ჯამში არანაკლებ 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ბენეფიციარზე გათვლილი 4 (ოთხი) (თითოეული არაუმეტეს 24 ბენეფიციარზე გათვლილი) საცხოვრისის შექმნის მიზნით სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შესაბამისი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება და, ბენეფიციარების ზემოხსენებულ რაოდენობის მიხედვით, საცხოვრისების ფუნქციონირების დაწყება.

3.1.4 ხელშეკრულების 3.1.1, 3.1.2 და 3.1.3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.

3.1.5 უზრუნველყოს საწარმოში არსებული სერვისების მიწოდების შენარჩუნება, მათ შორის, 3.1.1, 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას;

3.1.6 უზრუნველყოს „ქონებისთვის“ სამედიცინო პროფილის შენარჩუნება, შენობა-ნაგებობების არსებობის ვადით, მაგრამ არანაკლებ „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) წლის განმავლობაში, მათ შორის:
ა) უზრუნველყოს „ტუბერკულოზის მართვისა“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სფეროში არსებული შესაბამისი სერვისების მიწოდება;
ბ) უზრუნველყოს „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სრული პაკეტის განხორციელება, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;
გ) უზრუნველყოს იძულებითი ან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების სერვისისა და ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობ(ებ)ის სტაციონარული მომსახურების შენარჩუნება.

3.1.7 ქუთაისში, სენაკსა და ფოთში უზრუნველყოს „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საცხოვრისის პროფილის სერვისების მიწოდება საცხოვრისების ფუნქციონირების დაწყებიდან არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) წლის განმავლობაში;

3.1.8 ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება, არ გამოიწვევს საწარმოში („შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (ს/ნ №244969370)) სახელმწიფოს წილის შემცირებას.

3.1.9 უზრუნველყოს „ქონებაზე“ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრული ფსიქიატრიული დახმარების გაწევისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საზოგადოების და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის პაციენტის იზოლირებით, და გარე სამყაროსთან საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული კომუნიკაციის შეზღუდვის უზრუნველყოფა; ასევე, საჭიროების შემთხვევაში პაციენტის სხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაყვნა/გადაყვანა და უკან დაბრუნება, შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფით.“.

პატივისცემით,

ზაზა გრიგალაშვილი
ბ&ნ მედის დირექტორი